Funded by the European Union

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მხარდაჭერა აქტივების აღდგენაში და ორგანიზებულ კრიმინალურ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ძირითადი სფეროებში - II ფაზა



განხორციელების ვადა: 01.11.2024 - 31.10.2027

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 1 000 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 000 000

პროექტის აღწერა:

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ეს პროექტი, რომელიც 36 თვის განმავლობაში განხორციელდება აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, წარმოადგენს ადრე განხორციელებული საქმიანობის II ფაზას. პროექტის მიზანია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და მასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება, განსაკუთრებით აქტივების აღდგენის მექანიზმების (როგორც სისხლისსამართლებრივად დასჯადი, ისე არა-დასჯადი) გაძლიერების გზით. პროექტში ჩაერთვებიან ეროვნული დონის უწყებები, როგორიცაა მაგალითად, იუსტიციის სამინისტროები, გენერალური პროკურატურა, აქტივების აღდგენის (და მართვის) ოფისები და ფინანსური დაზვერვის განყოფილებები. ტექნიკური დახმარების ტიპიური მაგალითები მოიცავს კვლევას, პოტენციალის განვითარებას, სასწავლო მივლინებებს, სამუშაო ჯგუფების შეხვედრებს, ასევე ტექნიკურ კონსულტაციებს და მენტორობას მიმდინარე სასამართლო საქმეებზე.

მოსალოდნელი შედეგები:

1. შესაბამის თანამდებობის პირებს ეროვნულ დონეზე ექნებათ შესაძლებლობა გაიგონ მეტი პოლიტიკასთან დაკავშირებული მოწინავე, თანამედროვე პრაქტიკის შესახებ, რომელიც აუმჯობესებს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შედეგებს და უკანონოდ შეძენილი აქტივების ამოღების ეფექტიანობას (და ამ აქტივების ეფექტიან მართვას);
2. ოფიციალურ პირებს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში გაეწევათ უაღრესად სპეციალიზებული კონსულტაციები და შესაბამისი მხარდაჭერა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს მიმდინარე სასამართლო საქმეები, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული აქტივების მიკვლევას და აღდგენას უკავშირდება.